სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება N16

ქ. ბათუმი, 24 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური, სამსახურის უფროსის ზურაბ ღომიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ბათუმი-ექსპრესი", ხელმძღვანელის გელა პატარაიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი), კლასიფიკატორის CPV კოდი - 22200000 ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: **ჟურნალ-გაზეთები.**

1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართ N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 200 (ერთი ათას ორასი) ლარს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

2.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (შესყიდვების კოორდინატორი) - ციცინო კახიძე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა N119, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (შესყიდვების კოორდინატორი) - ციცინო კახიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

12. ფორს მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური	შ.პ.ს. – „ბათუმი-ექსპრესი“
ტელ: (8) (422) 24-86-31	ტელ: 599 57 43 31
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა N90
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი – BAGAGE22	ბანკის კოდი – MIBGGE22
ა/ნ – GE78BG0000000886744500	ა/ნ – GE18PC0033600100022462
საიდენტიფიკაციო კოდი – 245444844	საიდენტიფიკაციო კოდი - 245424116
სამსახურის უფროსი	ხელმძღვანელი
_____ /ზ. ლომაძე/ ბ. ა.	_____ /გ. პატარაია/ ბ. ა.

ინფორმაცია
ფაებისა და მოწოდების გრაფიკის შესახებ

N	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	აჭარა	153	0.4	61.20	ქ. ბათუმი	31/12/12
2	ახალი ვერსია	183	0.8	146.40	ქ. ბათუმი	31/12/12
3	აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები	12	7	84.00	ქ. ბათუმი	31/12/12
4	ბუღალტრული აღრიცხვა–ანგარიშგება	12	5.5	66.00	ქ. ბათუმი	31/12/12
5	გადასახადები და აღრიცხვა	23	6.5	149.50	ქ. ბათუმი	31/12/12
6	გადასახადები	12	6.5	78.00	ქ. ბათუმი	31/12/12
7	კვირის პალიტრა	48	1.25	60.00	ქ. ბათუმი	31/12/12
8	24 საათი	261	0.6	156.60	ქ. ბათუმი	31/12/12
9	რეზონანსი	326	0.6	195.60	ქ. ბათუმი	31/12/12
10	საქართველოს ეკონომიკა	11	5.5	60.50	ქ. ბათუმი	31/12/12
11	საქართველოს რესპუბლიკა	237	0.6	142.20	ქ. ბათუმი	31/12/12
	ჯამი			**1,200.00**		

შემსყიდველი

მიმწოდებელი